IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

აგვისტო – სექტემბერი, 2016

IDFI-იმ საქართველოში საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოში საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებაზე ასევე დააჯილდოვდა ჩართულობის მხრივ ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე კანონპროექტების ინიციატორი 3 სახელმწიფო უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2016 წლის ანგარიშის პრეზენტაცია

28 სექტემბერს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) გამართა საქართველოში ყველაზე ღია და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულების დაჯილდოების ცერემონიალი. ღონისძიებაზე, რომელსაც IDFI უკვე მე-7-ე წელია მართავს, განხილული იყო 2016 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგები, ძირითადი ტენდენციები და სასამართლო პრაქტიკა.

IDFI საერთაშორისო კონფერენციაზე - ინფორმაციაზე წვდომის უფლების 250-ე წელი

2016 წლის 21-22 სექტემბერს IDFI-ის დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა და პროგრამების დირექტორმა ლევან ავალიშვილმა მონაწილეობა მიიღეს კიევში, უკრაინაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით „ინფორმაციაზე წვდომის უფლების 250-ე იუბილის აღნიშვნა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული სისტემების შემდგომი გაძლიერება.“

გიორგი კლდიაშვილი – „ფრონტის ხაზზე: ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“

IDFI-ის დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო მოლდოვაში მიმდინარე ადამიანის უფლებათა კონფერენციაში სახელწოდებით „ფრონტის ხაზზე: ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.“ განსახილველ საკითხებს შორის იყო: ადამიანის უფლებების გამოწვევები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და საერთაშორისო მექანიზმები; ადამიანი უფლებების დამცველები; კამპანიის წარმოების, კავშირების დამყარებისა და დაფინანსების მოძიების საუკეთესო პრაქტიკა; და ადამიანის უფლებების დაცვა და მონიტორინგი კონფლიქტის ზონებში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში - 2016 წლის ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2010 წლიდან ახორციელებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს საქართველოში. წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასებას 2016 წლის მონაცემებით და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით IDFI-ის სტრატეგიული სამართალწარმოების პრაქტიკას, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს 2010-2016 წლებში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში - 2010-2016 წლები

IDFI-მ გამოაქვეყნა ვიზუალიზაცია სახელწოდებით „საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - 2010 - 2016 წლები.“ ვიზუალიზაცია ნათლად ასახავს საქართველოში საჯარო დაწესებულებების მიერ 2010-2016 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციებს.

დიდი ტერორის სტატისტიკა საქართველოში - 1937-1938 წლები

23 აგვისტო - ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნის დღეა. სპეციალურად ამ დღისთვის IDFI-მ გამოაქვეყნა ვიზუალიზაცია სახელწოდებით „დიდი ტერორის სტატისტიკა საქართველოში 1937-1938 წლებში.“

IDFI ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად დაკმაყოფილდა IDFI-ის სარჩელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ. IDFI-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქმედების განხორცილებას საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით. კერძოდ, ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას სამინისტროს მიერ გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ (პრემიები, დანამატები, სამივლინებო ხარჯები, გამარტივებული შესყიდვები, როუმინგული ხარჯები და სხვა).

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში - 2016 წელს

IDFI-მ გამოაქვეყნა ვიზუალიზაცია სახელწოდებით „საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - 2016 წელს.“ ვიზუალიზაცია ნათლად ასახავს საქართველოში საჯარო დაწესებულებების მიერ 2016 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციებს.

თბილისის საკრებულოს ბიუროკრატია

უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის საკრებულოს დაფინანსება ყოველწლიურად მატულობს: 2011 წელი - 6,072,200 ლარი; 2012 წელი - 6,131,800 ლარი; 2013 წელი - 10,029,700 ლარი; 2014 წელი - 13,351,400 ლარი; 2015 წელი - 13,633,300 ლარი; 2016 წლის გეგმა - 14,052,000 ლარი.

კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა

პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოში კრემლის პროპაგანდის მახასიათებლებს, ძირითად გზავნილებს და მათ გავლენას ქართულ საზოგადოებაზე, კრემლის პროპაგანდის გამავრცელებლებს ქვეყანაში, პროპაგანდის შედეგებს და ამ პრობლემის მიმართ საქართველოს ხელისუფლების არსებულ მიდგომას. იგი წარმოაჩენს იმ რისკებს და გამოწვევებს რომლებიც თან სდევს კრემლის საინფორმაციო ომს და რომლის წინააღმდეგაც საჭიროა პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება. დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციები, თუ რა ღონისძიებებით შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას, დაუპირისპირდეს კრემლის საინფორმაციო ომს.

საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში - შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები

ნახაზი 1: ელ-მმართველობისა და ელ-ჩართულობის ინდექსები - საქართველოს შედეგი



2016 წლის გაეროს კვლევამ ელექტრონული მმართველობის განვითარების ბოლო ორი წლის შედეგები შეაჯამა. საქართველოს შედეგები ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში გარდამტეხი ცვლილებები არ მომხდარა. უფრო მეტიც, რეგრესი დაფიქსირდა ელექტრონული ჩართულობის სისტემების შეფასებებში. გლობალურ რეიტინგში ქვეყნის პოზიციები კიდევ უფრო გაუარესებულია, რაც იმას მიანიშნებს, რომ საქართველოში ელექტრონული მმართველობის მხრივ ბოლო ორი წელიწადი არსებით რეფორმებს ადგილი არ ქონია. შედეგად, იგი ჩამორჩა განვითარების როგორც მსოფლიო, ისე რეგიონულ ტენდენციებს.

საქართველო ინოვაციების გლობალურ ინდექსში

სურათი 2: საქართველოს 2016 წლის შედეგები - ინოვაციების გლობალურ ინდექსი



2016 წლის მონაცემებით, ქვეყანამ ინოვაციების გლობალურ ინდექსში 33.9 ქულა აიღო (100 ქულიდან), რითაც უმნიშვნელოდ გაზარდა წინა წლის მაჩვენებელი (33.8 ქულა). 2015 წელთან შედარებით საქართველო 9 პოზიციით დაწინაურდა და დღეს 128 ქვეყნიდან 64-ე ადგილზეა. ამ მხრივ ქვეყნის მთავარი მიღწევებია ინსტიტუციური მოწყობა და მარეგულირებელი პოლიტიკა. თუმცა, მთავარ სისუსტეებად რჩება ხელისუფლების და კერძო სექტორის მიერ განათლებისა და კვლევითი მიმართულებების მხარდაჭერის ნაკლებობა და ბიზნესის მიერ ინოვაციების შეზღუდული გამოყენება.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების პოლიტიზაცია: კონსტიტუციური სარჩელების ე.წ. გამოცვლა და აცილების შუამდგომლობები საკონსტიტუციო სასამართლოში

არაერთი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გაკეთდა განცხადება კონსტიტუციური სარჩელების შეცვლასთან დაკავშირებით და გაჟღერდა მოთხოვნა ამ საკითხზე გამოძიების დაწყების თაობაზე. პარლამენტმა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და კონსტიტუციური სარჩელების შესაძლო შეცვლის მოტივით მოითხოვა საკონსტიტუციო რამდენიმე მოსამართლის აცილება კაბელები-უგულავას და რუსთავი 2-ის საქმის განხილვიდან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთავი 2-ის ადვოკატებმა ასევე მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს საჯარო განცხადებების გამო მოსამართლეთა აცილების შუამდგომლობით. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, IDFI-იმ მოამზადა სამართლებრივი ანალიზი, რომელიც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებში გაცხადებულ გარემოებებს.

18-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა გამჭვირვალობის დეკლარაციას

18-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა გამჭვირვალობის დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მათგანმა პასუხისმგებლობა აიღო, პერიოდულად, როგორც საკუთარ ვებგვერდებზე, ასევე საერთო ონლაინ პლატფორმებზე, გამოაქვეყნოს ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების, განხორციელების ვადების, დონორების და დაფინანსების რაოდენობის შესახებ.

კამპანია „ეს შენ გეხება“ ეხმაურება მორიგი ფარული ჩანაწერის გამოქვეყნებას

კამპანია „ეს შენ გეხება“ ეხმაურება სხვადასხვა მედია საშუალებითა და სოციალური ქსელით გავრცელებულ ფარული სატელეფონო საუბრის ჩანაწერს, რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორსა და ერთერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს შორის. კამპანიაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის აღმაშფოთებელია პირადი ცხოვრების ამსახველი კიდევ ერთი სატელეფონო ჩანაწერის გავრცელების ფაქტი. კამპანია სახელმწიფოს მოუწოდებს, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები უკანონო ფარული თვალთვალისა და მიყურადების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კოალიცია ევროატლანტიკური საქართველოსთვის მოუწოდებს მთავრობას გაასაჯაროოს ასოცირების შესახებ შეთანხმების 2017-2019 წლების დღის წესრიგის საპროექტო ტექსტი

კოალიცია მოუწოდებს საქართველოს მთავ-რობას გაასაჯაროოს საქართველო-ევრო-კავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების 2017-2019 წლების დღის წესრიგის საპროექტო ტექსტი, რათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ასოცირების შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობაში, საშუალება მიეცეთ გაეცნონ მას, იმსჯელონ და საჭიროებისამებრ წარმოადგინონ რეკომენდაციები მის გასაუმჯობესებლად.

კოალიცია საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწოდებს განახორციელოს კონსტიტუციური მართლმსაჯულება

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ეხმაურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. მიგვაჩნია, რომ შექმნილი ვითარება ქმნის ე.წ. გახმაურებულ საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების მიზანმიმართული შეფერხების მცდელობის შთაბეჭდილებას, რაც გავლენას ახდენს საქმის შედეგით დაინტერესებული პირების მდგომარეობაზე. ასევე განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად აისახება საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ საზოგადოების განწყობასა და ნდობაზე.

კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის

20-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის დააფუძნა. კოალიციის მიზანი თავისუფალი, დამოუკიდებელი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულ პატივისცემაზე დაფუძნებული, ეფექტიანი დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე სახელმწიფოს მშენებლობაა. წევრი ორგანიზაციები მჭიდროდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციის მხარდასაჭერად.

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“- GPB-ს გადაწყვეტილება ეგზიტპოლზე მიუღებელია

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ ეხმიანება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კერძო ტელეკომპანიებთან “იმედი”, „მაესტრო“ და GDS ერთად საარჩევნო ეგზიტპოლის ჩატარების გადაწყვეტილებას, რომელიც სამეურვეო საბჭომ მიიღო. კოალიცია მოუწოდებს საზოგადოებრივ მაუწყებელს შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება და მაუწყებლის ყველა რესურსი მიმართოს მიმდინარე პროცესების სრულყოფილად, დროულად და მიუკერძოებლად გასაშუქებლად.

როგორ დავიცვათ ბალანსი სახელმწიფო უსაფრთხოებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის?

შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური პარტიის საქმიანობის შეზღუდვა ისე, რომ სახელმწიფოს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში არამართლზომიერი ჩარევისთვის? ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგ ორ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში.

ჩვენი პროექტები

IDFI-იმ ივლის-აგვისტოს თვეში დაიწყო რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელება:

ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობებისათვის - მუნიციპალიტეტებში გამჭირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ეროვნული შეფასება. პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტის გამჭირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებისა და პრაქტიკის შეფასების სტანდარტის კონსოლიდირება და მის საფუძველზე ერთიანი ეროვნული შეფასების დანერგვა.

გამჭვირვალე საჯარო შესყიდვების რეიტინგი - საჯარო შესყიდვების კანონმდებლობისა და მისი აღსრულების შეფასება ევრაზიის რეგიონში. ამ ინიციატივის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შეფასების მექანიზმის შემუშავება და ამ მექანიზმის საშუალებით კანონმდებლობის და მისი აღსრულების პრაქტიკის შეფასება აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში. პროექტის ძირითადი მიზანია სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება, რაც მიიღწევა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესების დაბალანსების გზით.